

**პარდაპენტის ნავრების  
კავშირი ბიზნესთან,  
შეუთანვსაბადი სუქპინანოჭა და  
არადეკდარირიწებუდი ქონება**



**საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო**

**თბილისი, 2017**

# პარლამენტის წევრების კავშირი ბიზნესთან, შეუთავსებელი საქმიანობა და არადეკლარირებული ქონება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის მოიცავს ინფორმაციას პარლამენტის წევრების ბიზნესთან კავშირის, არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. პარლამენტის წევრების მიერ არადეკლარირებული ბიზნეს აქტივები და შეუთავსებელი საქმიანობა პრობლემას წარმოადგენდა მერვე მოწვევის პარლამენტშიც.<sup>1</sup>

წარმოგიდგინთ [ინფორმაციას](#) საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრთა არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობისა და ქონების, ასევე მათი ბიზნესთან კავშირის<sup>2</sup> შესახებ. ანგარიში ეყრდნობა პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას<sup>3</sup> და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ ბიზნესისა და უძრავი ქონების რეესტრის მონაცემებს, ასევე პარლამენტიდან მიღებულ ინფორმაციას.<sup>4</sup> შესწავლილი ინფორმაციის მიხედვით:

- საქართველოს პარლამენტის **51 წევრს აქვს ბიზნესთან კავშირი** და შესაბამისად ფლობს წილს სამეწარმეო სუბიექტებში
- **არადეკლარირებული ბიზნეს აქტივები აქვს პარლამენტის 16 წევრს**
- **ყველაზე მეტ კომპანიაში ბიზნეს აქტივებს ფლობს:**



ივლიანე წულაია („ქართული ოცნება“) - 31 კომპანია



ნინო წილოსანი („ქართული ოცნება“) - 13 კომპანია



კახაბერ ოქრიაშვილი („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“) - 13 კომპანია

<sup>1</sup> ვრცლად იხ.: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება 2015“, 11 ივლისი, 2016, <https://goo.gl/LwMiBH>; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საკანონმდებლო ორგანოს გამჭვირვალობა იზრდება, თუმცა საპარლამენტო კონტროლი არასაკმარისია“, 13 ივლისი, 2015, <https://goo.gl/LwMiBH>; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობას აფასებს“, <https://goo.gl/ep1cer> 23 აპრილი, 2014.

<sup>2</sup> არადეკლარირებულ კომპანიებს შორის გვხვდება ისეთი კომპანიებიც, რომელთა შესახებ მონაცემები სამეწარმეო რეესტრში რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ისინი აღარ ფუნქციონირებს. თუმცა, რადგან ასეთი კომპანიები ოფიციალურად არსებობს, ეს არ ათავისუფლებს პარლამენტის წევრს ვალდებულებისგან, რომ შეიტანოს ქონებრივ დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან.

<sup>3</sup> თანამდებობის პირთა დეკლარაციები შევსებულია 2016-2017 წლებში, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge); კვლევა არ მოიცავს თანამდებობის პირთა მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსების შემდეგ დარეგისტრირებული წილების საკუთრებას, დირექტორობისა და წილის საკუთრების შეწყვეტის შემთხვევებს.

<sup>4</sup> თითოეული პარლამენტის წევრის შესახებ დეტალური ინფორმაცია (სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, სხვა შემოსავალი, მოძრავი ქონება) იხილეთ ვებ გვერდზე [www.chemiparlamenti.ge](http://www.chemiparlamenti.ge)

- შევსებული დეკლარაციების მიხედვით ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი შემოსავალი სამენარშეო საქმიანობიდან მიღებული აქვს:



კახაბერ თქრიაშვილს („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“) - 17,429, 052 ლარი



გრიგოლ მიქელაძეს („ქართული ოცნება“) - 1,185,000.00 ლარი




ელგუჯა გოცირიძეს („ქართული ოცნება - მრეწველები“) - 1,011,839.00 ლარი

- პარლამენტის 9 წევრი რეგისტრირებულია **დირექტორად** - ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად
- დეპუტატების **ოჯახის წევრთა ბიზნესთან კავშირი** არის 25 შემთხვევაში, აქედან **არადეკლარირებულია 7 შემთხვევა**
- **უძრავი ქონების საკუთრება არასრულად** არის დეკლარირებული პარლამენტის **16** წევრის შემთხვევაში, ხოლო დეპუტატის ოჯახის წევრის მიერ **4** შემთხვევაში.

## დიაგრამა 1

ბიზნესთან კავშირის მეორე პარლამენტის წევრების (51 წევრი) განაწილება პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებელი)



40

უმრავლესობა („ქართული ოცნება“)

6

ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“


4

უმცირესობა („ევროპული საქართველო“)


1

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“

## დიაგრამა 2



## დიაგრამა 3



# 1. კანონმდებლობის მოთხოვნა

პარლამენტის წევრი ვალდებულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შეავსოს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო სამსახურის ბიუროს წარუდგინოს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. **პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ საქმიანობას წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობა ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის დაკავება.**

პარლამენტის წევრის სტატუსთან სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის მოთხოვნები არ ხელყოფს პარლამენტის წევრის საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. **იგი შეიძლება ფლობდეს აქციებს, ნიღს და სხვა ქონებას.**

**სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს:**

- უშუალოდ განახორციელოს არაერთჯერადი საქმიანობა მოგების მიზნით მატერიალური ფასეულობებისა და ფინანსური საშუალებების სამართავად;
- უშუალოდ იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, განახორციელოს სამეწარმეო სუბიექტის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ან საკონსულტაციო ორგანოს წევრის უფლებამოსილებანი;

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას პარლამენტის წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე.

თუ პარლამენტის წევრი სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ამ ფაქტის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოითხოვოს სათანადო დოკუმენტური მასალა, ჩამოართვას მას ახსნა-განმარტებას და მოამზადოს შესაბამის დასკვნა. თუკი არსებობს შესაბამისი ფაქტები და გარემოებები, უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ მომზადებული დასკვნა პარლამენტის ბიუროს განსახილველად შეაქვს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. პარლამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ განიხილოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.<sup>5</sup>

საქართველოს პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა განიხილა პარლამენტის წევრების მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების 3 შემთხვევა და მიმართა ბიუროს პარლამენტის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თხოვნით. აღნიშნული საფუძვლით პარლამენტის წევრებს: [კახა კალაძეს](#), [გიორგი გახარიასა](#) და [გიორგი კვირიკაშვილს](#) უფლებამოსილება შეუწყდათ პარლამენტის დადგენილებით.

<sup>5</sup> პარლამენტის რეგლამენტი, მე-9 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)

პარლამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში პარლამენტის წევრის სტატუსთან **შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობიდან** გამომდინარე განხორციელდა სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებში კუთვნილი წილების **მართვის უფლებით გადაცემა** პარლამენტის შემდეგი წევრების მიერ:



**1. ირაკლი ბერია** („ქართული ოცნება“) - შპს „პროექტების მართვის კომპანია“



**2. ლევან კობერიძე** („ქართული ოცნება“) - შპს „კომში“, შპს „თ-არტი“, შპს „ბობო“



**3. დავით მათიკაშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „საადვოკატო ბიურო კაუზა“



**4. გურამ მაჭარაშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „გლობალექსი“



**5. დიმიტრი მხეიძე** („ქართული ოცნება - მწვანეები“) - შპს „დიმიტრი მხეიძის სახელობის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა გიდი“



**6. ზაქარია ქუცნაშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „K&K Consulting“



**7. ნატო ჩხეიძე** („საქართველოს პატრიოტები“) - შპს „ბენმონტი-BENMONT“



**8. ნინო წილოსანი** („ქართული ოცნება“) - შპს „მკურნალი 2002“, შპს „რეტრო 77“, შპს „ენ-დუო-კონცეპტ“



**9. ივლიანე ნულაია** („ქართული ოცნება“) - შპს „სი ენდ სან“, შპს „ლეიქ ვიუ“, შპს „ნეიშენალ პარკ“, შპს „თბილისი ვიუ“, შპს „გრინქარდ.ჯი“, შპს „ვიუ პოინტ“, შპს „კვარიათი სანსეტ“, შპს „იედი პარკს“, შპს „რაზიმ“, შპს „არქი დეველოპმენტი“, შპს „არქი თაუერ“, შპს „სანსეტ ლაუნჯ“, შპს „სილვერ 39“, შპს „ტექნიკა“, შპს „დეპო“, შპს „ლესელიძე +“, შპს „იტონგ კავკასუს“, შპს „ნოვო ტექ“, შპს „სანსეტ ჰოლ“, შპს „არქი ენერჯი“, შპს „გრინ სითი“, შპს „არქი ჰოთელს“, შპს „დიდი დილომი 5“, შპს „დილომი პალასი 6“, შპს „იტონგ კაპიტალი“, შპს „ბაკურიანი რიზორტ“, შპს „პრაიმ დილომი“, შპს „პრაიმ არქი“, შპს „არქი ნუცუბიძე“, შპს „გორგასალი რეზიდენს“, შპს „არქი საბურთალო“, შპს „არქი ინვესთმენტს“, შპს „ოულდ სითი ჰოსფიტალითი“)



**10. ირაკლი ხახუბია** („ქართული ოცნება“) - შპს „აისბერგი 2“, შპს „ჯეონათსი“

კვლევის საანგარიშო პერიოდისათვის შევსებული ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდში სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის **დირექტორის** თანამდებობა დატოვეს პარლამენტის შემდეგმა წევრებმა:



**1. ლევან ბეჟვანიძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) - შპს „ბათუმის სამშობიარო სახლი“, შპს „ჩარკვიანის სახელობის ბათუმის სამშობიარო სახლი“



**2. გიორგი ლომია** („საქართველოს პატრიოტები“) - შპს „საქართველოს სპორტსმენთა ლიგა“



**3. ლევან კობერიძე** („ქართული ოცნება“) - შპს „თ-არტი“, შპს „ბობო“



**4. გურამ მაჭარაშვილი** („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“) - შპს „გლობალექსი“



**5. რომან მუჩიაშვილი** („ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“) - შპს „საკუთესო პროდუქტი“



**6. დიმიტრი მხვიძე** („ქართული ოცნება - მწვანეები“) - შპს „პროპანი“



**7. ბექა ოდიშარია** („ქართული ოცნება“) - შპს „ძველი დედაქალაქი“, შპს „ანაბაზისი“



**8. დავით სონლულაშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „ედრესი“, შპს „ბელეზა“



**9. დიმიტრი ცქიტიშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „ჩიკო-ფელიჩა“



**ინდივიდუალური მენარმის** რეგისტრაცია გაუქმდა კობა ლურსმანაშვილის შემთხვევაში.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამენარმეო სუბიექტებში კუთვნილი **წილების განკარგვა** განხორციელდა შემდეგი პარლამენტის წევრების მიერ:



**1. ლევან გოგინაშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი კანონისთვის“



**2. ოთარ დანელია** („ქართული ოცნება“) - შპს „Smart House“



**3. გიორგი ლომია** („საქართველოს პატრიოტები“) - შპს „საქართველოს სპორტსმენთა ლიგა“



**4. მამუკა მდინარაძე** („ქართული ოცნება“) - შპს „მდინარაძე და პარტნიორი ადვოკატები“



**5. გრიგოლ მიქელაძე** („ქართული ოცნება“) - შპს „ენ ჯეი ერ ჯი კომპანი“



**6. რომან მუხიაშვილი** („ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“) - შპს „პატარძული“, შპს „საუკეთესო პროდუქტი“



**7. სიმონ ნოზაძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) - შპს „ატლანტი-უსაფრთხოების სამსახური“, შპს „ატლანტ“



**8. დიმიტრი ცქიტიშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „ტეხა“, შპს „ჩიკო-ფელიჩა“, შპს „კომეტა“



**9. ნინო წილოსანი** („ქართული ოცნება“) - შპს „აიპროფიტი“, შპს „აგროპროდუქტი“, შპს „ქონსელერ პრივატი“, შპს „ლეგიონი“, შპს „ჯი თრეველი“, შპს „აი თრეველი“, შპს „ტრიდე ჯგუფი“



**10. ზაზა ხუციშვილი** („ქართული ოცნება“) - შპს „ზაზუ ინვესტი“

## 2. პარლამენტის წევრთა მიერ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი

შევსებული დეკლარაციებისა მიხედვით<sup>6</sup> ბიზნესაქტივებს ფლობს პარლამენტის **51** წევრი, მათ შორის შევსებული დეკლარაციების მიხედვით უთითებს პარლამენტის **35** წევრი, ხოლო **16** წევრს არ აქვს მითითებული მათ მიერ სამეწარმეო სუბიექტებში წილის საკუთრების, ბიზნესთან კავშირის შესახებ.

კანონმდებლობის<sup>7</sup> შესაბამისად ახალარჩეული პარლამენტის წევრი ვალდებულია უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან შეწყვიტოს პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი სამსახური/საქმიანობა და 7 დღის ვადაში პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს წარუდგინოს შეუთავსებელი სამსახურის/საქმიანობის შეწყვეტის დამადასტურებელი საბუთი. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის წევრს ვადამდე უწყდება უფლებამოსილება, რაზეც პარლამენტი იღებს დადგენილებას.

**თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების** მიხედვით, 8 შემთხვევაში პარლამენტის წევრმა შეწყვიტა სამეწარმეო სუბიექტის მართვა, ასევე აღარ აქვთ ბიზნესაქტივები. **2016 წელს უარი თქვეს წილის საკუთრებასა და მართვის განხორციელებაზე ქვემოთ ჩამოთვლილმა პარლამენტის წევრებმა:**



**1. ელგუჯა გოცირიძე** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება - მრეწველები“) სს ჩანავას კლინიკის პარტნიორობიდან გავიდა 2016 წელს, დეკლარაციის მიხედვით მიღებული შემოსავალი - 1,011,839.00 ლარი.



**2. კახაბერ კუჭავა** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება“) სამეწარმეო სუბიექტის მართვისა და პარტნიორობა შეწყვიტა 2016 წელს, რა დრომდეც იგი იყო შპს “ერისთავი და პარტნიორები” - პარტნიორი, ხოლო ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში დირექტორი: სს ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდი, შპს დირექტორთა ინსტიტუტი, FRONTLINE MINING LLC, სს კავკასიის მინერალები. დეკლარაციის მიხედვით ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 180,834.89 ლარს.



**3. იოსებ მაკრახიძე** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება - მრეწველები“) 2016 წელს შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შპს იბოლიაში. მიღებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით არის 829,319.00 ლარი.



**4. გიორგი მოსიძე** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება“) 2016 წელს გავიდა შპს პროდიუსერული ცენტრი გეიმ-თივი-ს პარტნიორობიდან. მიღებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით არის 37,125.00 ლარი.



**5. დიმიტრი მხვიძე** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება - მწვანეები“) 2016 წელს შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შპს პროპანში, მიღებული შემოსავალი 0 ლარი, ასევე შ.პ.ს. დიმიტრი მხვიძის სახელობის ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა გიდის დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შეწყვიტა ამავე წელს, მიღებული შემოსავალი 3,600.00 ლარი.

<sup>6</sup> თანამდებობის პირთა დეკლარაციები შევსებულია 2016-2017 წლებში, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [www.declaration.gov.ge](http://www.declaration.gov.ge);

<sup>7</sup> პარლამენტის რეგლამენტის მე-10 მუხლი, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)



**6. ირინე ფრუიძე** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება“) 2016 წელს შეწყვიტა წილის საკუთრება შპს გუნდი-ში. დეკლარაციის მიხედვით, მიღებული შემოსავალი 0 ლარი.



**7. გია ბენაშვილი** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება“) 2016 წელს შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შპს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“. ამ საქმიანობით მიღებული შემოსავალი 156,190.00 ლარი.



**8. ივლიანე ნულაია** (უმრავლესობა, „ქართული ოცნება“) 2016 წელს შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შემდეგ სამეწარმეო სუბიექტებში: შპს გოლდენ პალასი, შპს კვარიათი სანსეტ, შპს ვიაკონ, შპს არქი, შპს იეიდი პარკს, შპს ვიუ პოინტ, შპს აიფესი ჯორჯია, შპს ესსისიეფ, შოს სვის კაპიტალ ქონსტრაქშენ, შპს არქი დეველოპმენტი, შპს კერა დეველოპმენტი, შპს ტექნიკა, შპს დეპო, შპს ლესელიძე +, შპს იტონგ კავკასუს, შპს არქი ენერჯი, შპს გრინ სითი, შპს ბაკურიანი რიზორთ, შპს არქი ნუცუბიძე, შპს გრინქარდ. ჯი, შპს პრაიმ არქი, შპს თბილისი ვიუ, შპს სი ენდ სან, შპს ლეიქ ვიუ, შპს ნეიშენალ პარკ. ჩამოთვლილ შემთხვევებში დეკლარაციის მიხედვით სამეწარმეო შემოსავალი მიიღო მხოლოდ შპს არქი-ს დირექტორის უფლებამოსილების განხორციელებაში - 225,017.50 ლარი. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში მითითებულია 0 ლარი.

პარლამენტის **18** წევრს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლად **0** ლარი აქვს მითითებული.

პარლამენტის იმ წევრთაგან, რომელთაც მითითებული აქვთ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (ერთი წლის განმავლობაში) **4 არის პარტიული სიით არჩეული, ხოლო 16 მაჟორიტარული წესით, კერძოდ:**<sup>8</sup>



**1. კახაბერ ოქრიაშვილი** („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“, მაჟორიტარი) - 17,429,052.00



**2. გრიგოლ მიქელაძე**<sup>9</sup> („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 1,185,000.00



**3. ელგუჯა გოცირიძე** (ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“, მაჟორიტარი) - 1,011, 839.00



**4. იოსებ მაკრაშიძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 829,319.00



**5. ლევან კობერიძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 700,000.00



**6. დიმიტრი მხვიძე** („ქართული ოცნება - მწვანეები“, მაჟორიტარი) - 625,929.00



**7. გონა ენუქიძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 592,945.03

<sup>8</sup> შემოსავალი მითითებულია ლარში

<sup>9</sup> დეკლარაციაში მითითებულია 500,000.00 აშშ დოლარი, 2016 წლის დოლარის საშუალო კურსი არის 2.37



**8. ივლიანე წულაია** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 225,017.50



**9. სამველ მანუკიან** („ქართული ოცნება - მწვანეები“, პარტიული სიით) - 200,000.00



**10. კახაბერ კუჭავა** („ქართული ოცნება“, პარტიული სიით) - 180,834.89



**11. გია ბენაშვილი** („ქართული ოცნება“, პარტიული სიით) - 156,190.40



**12. ირაკლი ხახუბია** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 150,000.00



**13. ნინო წილოსანი** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 142,637.00



**14. გოდერძი ჩანქსელიანი** („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“, მაჟორიტარი) - 60,000.00



**15. გიორგი კახიანი** („ქართული ოცნება“, პარტიული სიით) - 33,500.00



**16. სიმონ ნოზაძე** („საქართველოს პატრიოტები“, მაჟორიტარი) - 43,000.00



**17. გიორგი მოსიძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 37,125.00



**18. მამუკა მდინარაძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 22,000.00




**19. დავით სონღულაშვილი** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 8,300.00











**20. ილია ნაკაშიძე** („ქართული ოცნება“, მაჟორიტარი) - 2,000.00

#### დიაგრამა 4. დეკლარაციების შესაბამისად პარლამენტის წევრთა შემოსავალი







**შევსებული ქონებრივი დეკლარაციების მიხედვით, არის შემთხვევები, როდესაც პარლამენტის წევრებს შემოსავალი საერთოდ არ აქვთ მითითებული** (სამეწარმეო საქმიანობით და მის გარშემო მიღებული სხვა ნებისმიერი სახის შემოსავალი) მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არის მათი მხრიდან შემოწირულობა განხორციელებული, ან ფიქსირდება გასავალი. შემოსავალი - 0 ლარი მითითებულია პარლამენტის **8** წევრის დეკლარაციაში:

-  **1. ოთარ ჩრდილელი** („ქართული ოცნება“)
-  **2. ალექსანდრე ერქვანია** („ქართული ოცნება“)
-  **3. ირაკლი აბუსერიძე** („ქართული ოცნება - მწვანეები“)
-  **4. ისკო დასენი** („ქართული ოცნება“ )
-  **5. გელა მიქაძე** („საქართველოს პატრიოტები“)
-  **6. გიორგი ლომია** („საქართველოს პატრიოტები“)
-  **7. ემზარ კვიციანი** („საქართველოს პატრიოტები“)
-  **8. ნატო ჩხვიძე** („საქართველოს პატრიოტები“)

### 3. პარლამენტის წევრის შეუთავსებელი საქმიანობა

პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციებისა და სამეწარმეო რეესტრის მონაცემების შედარებისას გამოვლინდა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრს მათი წილზე საკუთრების და მართვის (წარმომადგენლობის) უფლება დეკლარირებული არ აქვს.

-  **1. ედიშერ თოლორაია** („ქართული ოცნება“) არის შპს „კობრა +“-ის დირექტორი.
-  **2. გიორგი ლომია** (საქართველოს პატრიოტები) არის შპს „ქლაბ ნიუ იორქ“-ის დირექტორი.
-  **3. დიმიტრი სამხარაძე** („ქართული ოცნება“) არის შპს „ვატიკან ჯორჯია“-ს დირექტორი
-  **4. მამუკა ჩიქოვანი** („ევროპული საქართველო - რეგიონები“) არის შპს „კლუბი რუსთავი“-ს დირექტორი



**5. იოსებ მაკრახიძე** („ქართული ოცნება“) არის შპს „იმედი“-ს დირექტორი



**6. მამუკა მდინარაძე** („ქართული ოცნება“) არის დირექტორი შემდეგ სამეწარმეო სუბიექტებში: სპს „მამუკა მდინარაძე და თბილისის იურიდიული ცენტრი“, სპს „მამუკა მდინარაძის, გიორგი გელაშვილის და შალვა მშვილდაძის კომპანია“



**7. მარიამ ჯაში** („ქართული ოცნება“) არის შპს „ჭანდაცვის განვითარების ინსტიტუტის“ დირექტორი<sup>10</sup>



**8. დავით ჭიჭინაძე** („ქართული ოცნება“) არის შპს „მზა სახლი“-ს დირექტორი.



**9. დიმიტრი ხუნდაძე** („ქართული ოცნება“)

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი კვლევის პერიოდში არ არსებობდა ფაქტობრივი გარემოება, უნდა გამხვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ დიმიტრი ხუნდაძე დეკლარაციის შევსების შემდეგ<sup>11</sup> [დაარეგისტრირდა](#) როგორც „ხუნდაძის შპს ფირმა დიონისე“-ს<sup>12</sup> დირექტორის მოადგილედ. **რეესტრის მონაცემებით იგი წარმოადგენს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, რაც პარლამენტის წევრისთვის შეუთავსებელ საქმიანობას წარმოადგენს.**

გარდა სამეწარმეო სუბიექტში წილების საკუთრებისა და მართვის განხორციელებისა, უნდა აღიშნოს პარლამენტის წევრთა ინდივიდუალური მენარმის სტატუსის შესახებ, რომელიც ასევე წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას. რეესტრის მონაცემების მიხედვით, ინდივიდუალური მენარმის სტატუსი აქვთ პარლამენტის შემდეგ წევრებს:



**1. ზაზა გაბუნია** („ქართული ოცნება - მწვანეები“)



**2. ემზარ კვიციანი** („საქართველოს პატრიოტები“)



**3. იოსებ მაკრახიძე** („ქართული ოცნება“)



**4. აბერ სულეიმანოვი** („ნაციონალური მოძრაობა“)



**5. გელა მიქაძე** („საქართველოს პატრიოტები“)



**6. სამველ მანუკიან** („ქართული ოცნება - მწვანეები“)

<sup>10</sup> მარიამ ჯაშმა 2012 წლის 31 დეკემბერს მიმართა განცხადებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დირექტორობის შეწყვეტის შესახებ, თუმცა მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და იგი კვლავ ირიცხება დირექტორად

<sup>11</sup> 2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით

<sup>12</sup> საიდენტიფიკაციო კოდი 236036776

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, ირაკლი კობახიძემ 2017 წლის 21 ივლისს, 2017 წლის 20 ივლისს ზაზა ხუციშვილმა, ხოლო 2016 წლის 16 ნოემბერს დიმიტრი ცეციტიშვილმა გააუქმეს ინდივიდუალური მენარმის სტატუსი.

## 4. პარლამენტის წევრების არადეკლარირებული ქონება და კავშირი ბიზნესთან

პარლამენტის **16** წევრი შევსებულ დეკლარაციებში **არ უთითებს** მათი კუთვნილი წილის და შესაბამისად ბიზნესთან კავშირის შესახებ, კერძოდ:



**1. ლევან ბეჟანიძე** („ქართული ოცნება - მრეწველები“) დეკლარაციაში არ უთითებს, რომ არის წილის მესაკუთრე შემდეგ სუბიექტებში: შპს „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, შპს „ჩარკვიანის სახელობის ბათუმის სამშობიარო სახლი“.



**2. ბიძინა გვიგძე** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ უთითებს, რომ არის წილის მესაკუთრე სუბიექტში: შპს „ლალილუ“.



**3. ლევან კობიაშვილი** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული, რომ არის წილის მესაკუთრე შემდეგ სუბიექტებში: შპს „კ-3; შპს“ „ალი ჯორჯიან მოტორსი“, შპს „ჯ.ს.ს“.



**4. გურამ მაჭარაშვილი** („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება სუბიექტში შპს „გლობალექსი“



**5. კობა ნარჩემაშვილი** („ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება სუბიექტში: შპს ბუმჯორჯია



**6. გია ჟორჯოლიანი** („ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება სუბიექტში: შპს კრისტალი-2010



**7. შოთა ხაბარელი** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება შემდეგ სუბიექტებში: შპს ოლიმპი, შპს ჯუნა



**8. დიმიტრი ხუნდაძე** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ უთითებს, რომ არის მეწილე კომპანიაში შპს „ხუნდაძის შპს ფირმა დიონისე“



**9. ედიშერ თლორაია** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული რომ არის მეწილე კომპანიაში შპს კობრა+



**10. ირმა ინაშვილი** („საქართველოს პატრიოტები“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება შემდეგ სუბიექტებში: შპს „მედია სახლი ობიექტივი“ (მიმდინარეობს გადახდისუნარობის საქმისწარმოება); შპს „კომპანია ეკონომ X“





**11. გიორგი ლომია** („საქართველოს პატრიოტები“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება და დირექტორობა შპს „ქლაბ ნიუ იორქ“-ში



**12. დიმიტრი სამხარაძე** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება და დირექტორობა შპს „ვატიკან ჯორჯიაში“



**13. გედევან ფოფხაძე** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება კს „გიორგი გიგუაშვილი და კომპანიაში“



**14. ერეკლე ტრიპოლსკი** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრება შპს „სტუდია მარაოში“



**15. მარიამ ჯაში** („ქართული ოცნება“) არ უთითებს წილის საკუთრებას შპს „ჯანდაცვის განვითარების ინსტიტუტში“



**16. სოფიო კილაძე** („ქართული ოცნება“) არ უთითებს 50 % წილის საკუთრებას შპს „ILSO“-ში

პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციებისა და უძრავი ქონების რეესტრის მონაცემების შედარებისას გამოვლინდა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრს არ აქვს სრულად მითითებული მათ საკუთრებაში არსებული წილი სამეწარმეო სუბიექტში და უძრავი ქონება.

**სამეწარმეო სუბიექტში წილის საკუთრების შესახებ არასრულად აქვს მითითებული ინფორმაცია შემდეგ პარლამენტის წევრებს:**



**1. გონა ენუქიძე („ქართული ოცნება“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა, იგი არის მენილვე შემდეგ სამეწარმეო სუბიექტებში: შპს ალიანს მოტორს- თბილისი; შპს ჯორჯიან ალკონტრეიდ.



**2. იოსებ მაკარაძე („ქართული ოცნება“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის შპს ლამურის, შპს რიკოთის მენილვე. ასევე არის შპს იმედის დირექტორი.



**3. მამუკა მდინარაძე („ქართული ოცნება“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის დირექტორი შემდეგ სამეწარმეო სუბიექტებში: სპს მამუკა მდინარაძე და თბილისის იურიდიული ცენტრი; და ასევე დირექტორი და 75 %-იანი წილის მესაკუთრე სპს მამუკა მდინარაძის, გიორგი გელაშვილისა და შალვა მშვილდაძის კომპანიაში, 50 % -იანი წილის მესაკუთრე სპს მარიამ ხაჭაპურიძის და მამუკა მდინარაძის იურიდიული ფირმაში.



**4. სიმონ ნოზაძე („ქართული ოცნება - მრეწველები“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის შპს „ქართული წითელი ღვინოების“ წილის მესაკუთრე.



**5. კახაბერ ოქრიაშვილი („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარებისთვის“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის მეწილე სუბიექტში: შპს ჩვენი ჯანმრთელობა.



**6. ირაკლი ხახუბია („ქართული ოცნება“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის წილის მესაკუთრე შემდეგ სუბიექტებში: შპს აისბერგი 2, შპს Geo Capital Management, შპს Gcm Service, შპს betwin, შპს აისბერგ ტრეიდიנג.



**7. მამუკა ჩიქოვანი („ევროპული საქართველო - რეგიონები“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის წილის მესაკუთრე სუბიექტებში: შპს რუსთავშენი; შპს Mgroup Rustavi; შპს პიზნესჰაუსი; შპს ლომისი +.



**8. ზაზა კედელაშვილი („ევროპული საქართველო“)**

გარდა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაციისა იგი არის შპს ჩემპიონის მეწილე.

**პარლამენტის 16 წევრის (გიორგი ბეგაძე, თენგიზ ხუბულური, თეიმურაზ ჭკუასელი, ზვიად ძიძიგური, რომან მუხიაშვილი, ბექა ოდიშარია, ანრი ოხანაშვილი, რუსლან პოლოსიანი, გია ჟორჯოლიანი, თამარ ჩუგოშვილი, ლერი ხაბელოვი, ზაზა ხუციშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, ირაკლი სესიაშვილი, ერეკლე ტრიპოლსკი, ზაზა კედელაშვილი) შემთხვევაში კუთვნილი უძრავი ქონება არასრულად არის დეკლარირებული.**

## 5. სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა

კვლევის ფარგლებში წარმოგიდგინთ ინფორმაციას პარლამენტის წევრებთან დაკავშირებული კომპანიების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი არ წარმოადგენს კანონთან შეუსაბამო საქმიანობას, მაგრამ ამ ინფორმაციაზე დაკვირვება საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის.

მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან (2016 წლის 18 ნოემბერი) 2017 წლის აგვისტოს ჩათვლით პერიოდში პარლამენტის სამ წევრთან დაკავშირებული კომპანიას აქვს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობა მიღებული:



**1. კახაბერ ოქრიაშვილი (მაჟორიტარი, „ქართული ოცნება“) - შპს „პსპ ფარმა“, „პსპ დაბლვევა“**



**2. იოსებ მაკრახიძე (მაჟორიტარი, „ქართული ოცნება“) - შპს „იბოლია“**



**3. გონა ვენუქიძე (მაჟორიტარი, „ქართული ოცნება“) - შპს „იბერკომპანი“**

- **კახაბერ ოქრიაშვილთან** დაკავშირებულმა კომპანიამ „**პსპ დაზღვევა**“ მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის პერიოდიდან 6 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, აქედან მოიგო - 2, წააგო - 3, ხოლო 1 ტენდერი არ შედგა. მოგებული ტენდერებიდან ყველაზე მაღალი ღირებულებით კონტრაქტის სავარაუდო ღირებულებაა **16,584,494.85** ლარი, რომლის შემსყიდველი პირია შინაგან საქმეთა სამინისტრო და ითვალისწინებს სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებას.

ამავე კომპანიამ ზემოაღნიშნულ პერიოდში 4 გამარტივებული შესყიდვაში გაიმარჯვა, სადაც ხელშეკრულებათა საერთო ღირებულება შეადგენს 18,435.38 ლარს. აქედან ყველაზე მაღალი 18,077.13 ლარის ღირებულების ხელშეკრულება 2016 წლის დეკემბერში გაფორმდა საქართველოს პარლამენტის აპარატთან.

კახაბერ ოქრიაშვილთან დაკავშირებულმა მეორე კომპანიამ „**პსპ ფარმა**“ 2016 წლის 18 ნოემბრის შემდეგ პერიოდში 36 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, აქედან: მოიგო- 24, წააგო - 8, ხოლო არ შედგა - 4.

ყველაზე მაღალი 750,800.00 ლარის ღირებულების ღირებულების კონტრაქტი 2017 წლის იანვარში გაფორმდა „ინფექციურ პათოლოგიური შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრთან“, რომელიც ფარმაცევტული პროდუქტების მიწოდებას ითვალისწინებს.

ამავე პერიოდში პსპ ფარმამ 20 გამარტივებულ შესყიდვაში გაიმარჯვა. ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს 20,543.13 ლარს. აქედან ყველაზე მაღალი 4,708.00 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან.

- **იოსებ მაკრახიძესთან** დაკავშირებულმა კომპანიამ „**იბოლია**“ მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან 8 ტენდერში მიიღო მონაწილეობა, აქედან გაიმარჯვა 4 შემთხვევაში, წააგო - 3, ხოლო 1 ამჟამად მიმდინარეობს. ყველაზე მაღალი **2,250,440.00** ლარის სავარაუდო ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რომელიც სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებს.

ამავე პერიოდში „იბოლიამ“ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა 7 გამარტივებულ შესყიდვაში, რომელთა ხელშეკრულებების ღირებულება შეადგენს 15,738.00 ლარს. აქედან ყველაზე მაღალი 5,000.00 ლარის ოდენობის ხელშეკრულება გაფორმდა 2017 წლის იანვარში აა(ი)პ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის სამსახურთან და ითვალისწინებს სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილებისა და ტექნიკური მარილის მიწოდებას.

- **გონა ვნუქიძესთან** დაკავშირებულმა კომპანიამ შპს „**იბერკომპანი**“ საანგარიშო პერიოდში 38 გამარტივებულ შესყიდვაში გაიმარჯვა. აქედან ყველაზე მაღალი **12,022.50** ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაფორმდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტთან და გულისხმობდა საწვავის მიწოდებას.

კახაბერ ოქრიაშვილი ოთხი, ხოლო გოჩა ენუქიძე სამი მონვევის პარლამენტის წევრი იყო რა პერიოდშიც მათთან დაკავშირებული კომპანიები ასევე მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო შესყიდვებში. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ცხრილი N1:

პარლამენტის წევრი	კომპანია	ტენდერი/ გამარტივებული შესყიდვა	პერიოდი
კახაბერ ოქრიაშვილი („ქართული ოცნება - რეგიონების განვითარების- თვის“)	შპს „პსპ ფარმა“	<p>მონაწილეობა მიიღო 1293 ტენდერში. 58 % გამარჯვებული 7 % არშემდგარი 1 % მიმდინარე, 34 % წაგებული. მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება: <b>43,956,176.00</b> 262 გამარტივებული შესყიდვა ხელშეკრულებების საერთო ღირებულება : <b>277,998.63</b></p>	<p>16.02. 2011-02.03.2017</p> <p>გამარტივებული შესყიდვები: 15.01.2015 - 28.04.2017</p>
	შპს დაბღვევა	<p>მონაწილეობა მიიღო 254 ტენდერში. 57 % გამარჯვებული 2 % არშემდგარი 0 % მიმდინარე 41 % წაგებული მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება : <b>68,459,592.00</b> 24 გამარტივებული შესყიდვა ხელშეკრულებების საერთო ღირებულება : <b>32,449.40</b></p>	<p>15.11. 2010 - 30.01. 2017</p> <p>გამარტივებული შესყიდვა: 03.01.2017 - 30.11.2016</p>

პარლამენტის წევრი	კომპანია	ტენდერი/ გამარტივებული შესყიდვა	პერიოდი
იოსებ მაკრახიძე („ქართული ოცნება“)	შპს იბოლია	<p>მონაწილეობა მიიღო 64 ტენდერში. 55 % გამარტივებული 3 % არშემდგარი 6 % მიმდინარე 36 % წაგებული მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება : <b>79,279,613.00</b></p> <p>18 გამარტივებული შესყიდვა ხელშეკრულებების საერთო ღირებულება : <b>556,087.54</b></p>	07.03. 2011 - 11.07.2017 გამარტივებული შესყიდვა 16.03.2011 - 07.2017
გონა ენუქიძე („ქართული ოცნება“)	შპს იბერკომპანი (ს/კ 231963818)	155 გამარტივებული შესყიდვა ხელშეკრულებების საერთო ღირებულება : <b>382,199.15</b>	06.01.2015 - 29.01.2017
	შპს იბერკომპანი (ს/კ 211358181)	1 ტენდერი მოგებული კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება <b>118,000.00</b>	02.07.2015 - 101,700.00
	შპს ბანი	<p>მონაწილეობა მიიღო 2 ტენდერში. მოგებული კონტრაქტის საერთო სავარაუდო ღირებულება: <b>2,041,742.00.</b></p> <p>აქედან არშემდგარი 1 ტენდერი ღირებულება <b>2,041,742.00</b></p>	26.12. 2014 არშემდგარი ტენდერი 05.11. 2014

# დეპუტატთა ოჯახის წევრების მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში

მეცხრე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების პერიოდიდან დეპუტატის ოჯახის წევრებთან დაკავშირებულმა კომპანიამ 2- ჯერ გაიმარჯვა სახელმწიფო შესყიდვებში:

- 1. ომარ ქუცნაშვილთან** (ზაქარია ქუცნაშვილის მამა) დაკავშირებულმა კომპანიამ შპს „ჭეონინინგ“ გაიმარჯვა ტენდერში, რომლის შემსყიდველი პირი იყოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, ხოლო ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 135,896.00 ლარი.
- 2. დავით ველიჯანაშვილთან** (ირინა ფრუიძის მეუღლე) დაკავშირებულმა კომპანიამ შპს „პანდა“ გაიმარჯვა 1 გამარტივებულ შესყიდვაში, სადაც ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებაა 4,990.00 ლარი, შემსყიდველი პირია ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი.

ცხრილი N2

პარლამენტის წევრი	კომპანია	ტენდერი/ გამარტივებული შესყიდვა	პერიოდი
ომარი ქუცნაშვილი (ზაქარია ქუცნაშვილის მამა)	შპს ჭეონინინგ	მონაწილეობა მიიღო 14 ტენდერში. 79 % გამარჯვებული 7 % არშემდგარი 0 % მიმდინარე 14 % წაგებული მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება : 749,474.00	02.07.2013 - 10.07.2017  გამარტივებული შესყიდვები: 19.04.2016 - 11,800.00 23.10.2015 - 11 000.00 23.07.2015 - 2,500.00
	შპს სუპერ ტორფი (SUPER TORF-ი)	მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა 2 ტენდერში. მოგებული კონტრაქტების საერთო სავარაუდო ღირებულება : 4,390.00	04.12.2014 - 2,195.00 04.11.2014 - 2,195.00
დავით ველიჯანაშვილი (ირინა ფრუიძის მეუღლე)	შპს პანდა	1 გამარტივებული შესყიდვა ხელშეკრულების ღირებულება: 4,990.00	27.07.2017

## 6. დეკუტატთა ოჯახის წევრების კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება

დეკუტატების ოჯახის წევრთა ბიზნესთან კავშირი არის **25** შემთხვევაში. აქედან ბიზნესაქტივების ფლობა არ არის დეკლარირებული **7** შემთხვევაში, ხოლო 8 შემთხვევაში არასრული სახით არის.

ყველაზე მეტი არადეკლარირებული ბიზნესაქტივი აქვს **ზაქარია ქუცნაშვილის („ქართული ოცნება“)** მამას ომარ ქუცნაშვილს. იგი დეკლარაციაში მითითებული მენილეობის გარდა (შპს „ტექნო“, შპს ჯეონჟინერინგი, კოოპერატივი ნაფარეულის ბიო ღვინო), არ უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

1. შპს „ქართულ-აზერბ. ერთობ. საპროექტ.-სამშ კომპ. თბილ-ბაქო“ - დირექტორი
2. შპს „აგარა“ - მენილე
3. შპს „სუპერ ტორფი“ - მენილე
4. შპს „ქმბ“ - მენილე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ პარლამენტის საქმიანობის შეფასების ანგარიშების თანახმად, მერვე მოწვევის პარლამენტში არადეკლარირებული წილის საკუთრების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ასევე გია ჟორჯოლიანის (მეულლე), ზაქარია ქუცნაშვილის (მამა), ვიქტორ ჯაფარიძის (მეულლე) ოჯახის წევრების შემთხვევაში.<sup>13</sup>

დეკუტატთა ოჯახის წევრების 11 შემთხვევაში არ არის სრულად დეკლარირებული უძრავი ქონების საკუთრება. **ორ შემთხვევაში დეკლარაციაში საერთოდ არ არის მითითებული უძრავი ქონების მესაკუთრების შესახებ**, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის თაობაზე არსებობს საჯარო რეესტრის ჩანაწერი, კერძოდ:

- **ნინო წილოსანის** („ქართული ოცნება“) დეკლარაციაში არ არის მითითებული მეულლის ვლადიმერ აბულაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება
- **დიმიტრი მხეიძის** („ქართული ოცნება - მწვანეები“) მიერ შევსებულ დეკლარაციაში არ არის მითითებული დედის მანანა მხეიძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება

## რეკომენდაციები

2016-2017 წლებში შევსებული თანამდებობის პირთა დეკლარაციების შესწავლისა და გამოვლენილი შემთხვევების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კვლავ პრობლემად რჩება პარლამენტის წევრთა მიერ შეუთავსებელი სამეწარმეო საქმიანობა და არადეკლარირებული ქონება (წილები, უძრავი ქონება). აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია:

- საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა განახორცილოს აღნიშნულ შემთხვევებზე ზედამხედველობა, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში **შეისწავლოს კვლევაში მითითებული შემთხვევები და მოახდინოს რეაგირება**
- საჯარო სამსახურის ბიურომ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაიწყოს კვლევაში **აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი**

<sup>13</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება 2015“, 11 ივლისი, 2016, <https://goo.gl/LwMiBH> ; საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საკანონმდებლო ორგანოს გამჭვირვალობა იზრდება, თუმცა საპარლამენტო კონტროლი არასაკმარისია“, 13 ივლისი, 2015, <https://goo.gl/LwMiBH>; საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი წლის მუშაობას აფასებს“, <https://goo.gl/ep1cer> 23 აპრილი, 2014.

**დანართი 1. პარლამენტის წევრთა კავშირი ბიზნესთან  
არადეკლარირებული ქონება**

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
რევაზ არველაძე	უმრავლესობა	1. შპს „უნიკორპი“ 2. შპს „არველაძე და ვაჭიშვილები“	1. პარტნიორი 2. პარტნიორი	0		<p>საქართველო, თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 21, ბინა 10, 90,00 კვ.მ,</p> <p>საქართველო, თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 21, ბინა 10, 145,92 კვ.მ,</p> <p>საქართველო, ახმეტა, რუსთაველის 10, 1200,00 კვ.მ,</p> <p>საქართველო, ახმეტა, რუსთაველის 10, 240,00 კვ.მ,</p> <p>საქართველო, გარდაბანი, თბილისის ზღვის მიმდებარედ, 1500,00 კვ.მ,</p> <p>საქართველო, გარდაბანი, თბილისის ზღვის მიმდებარედ, 900,00 კვ.მ</p>	
გიორგი ბეგაძე	უმრავლესობა	შპს „ბეგაძე და კომპანია“, საქართველო, რუსთავი, მე7 მკ/რ	თანადამფუძნებელი	0		<p>საქართველო, თბილისი, გორგასლის37/157, ფართობი - 50.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, თბილისი, გორგასლის37, ფართობი - 18.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, რუსთავი, მე7 მიკროს მიმდებარე ტერიტორია, ფართობი - 5000.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ყვარელი, წინკლდეები, ფართობი - 10000.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ყვარელი, წინკლდეები, ფართობი - 1000.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, გრიგოლეთი, გრიგოლეთი, ფართობი - 240.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ბაკურიანი, ბაკურიანი, ფართობი - 422.00 კვ.მ</p>	<p><a href="https://goo.gl/Wz5zmE">https://goo.gl/Wz5zmE</a> არ უთითებს</p>



	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
მარიამ ჯაში	უმრავლესობა				არის შპს „ჯანდაცვის განვითარების ინსტიტუტის“ მენილერ და დირექტორი (ს/კ 404412541). დირექტორობის შეწყვეტის შესახებ მიმართა რეესტრს 31 დეკ 2012	საქართველო, ტაბახმელა (თბილისი, მთაწმინდის რაიონი), შექმნილია 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთთან ერთად, 190,00 კვ.მ  საქართველო, თბილისი, თარხნიშვილის 19/21, 110,05 კვ.მ  საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-4 კვ. მე-5 კორპ., 57,00 კვ.მ  საქართველო, სოფ. წინანდალი, შექმნილია 1034 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად 12000 აშშ დოლარის ექვ. ლარში, 120,00 კვ.მ	
ილია ნაკაშიძე	უმრავლესობა	შპს „პარაცელსი“	პარტნიორი 11%	2000			
თენგიზ ხუბულური	უმრავლესობა					საქართველო, დუშეთის რ-ნი, ბაზალეთი, ფართობი - 725.00 კვ.მ	<a href="https://goo.gl/P2cPJi">https://goo.gl/P2cPJi</a> არ უთითებს

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
თეიმურაზ ჭკუასელი	უმრავლესობა					<p>საქართველო, ჩოხატაურის რ-ნი, სოფელი საჭამიასერი, ფართობი - 5000.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ჩოხატაურის რ-ნი, სოფელი საჭამიასერი, ფართობი - 80.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ბორჯომის რ-ნი, დაბა ბაკურიანი სასტუმრო, "მგზავრები", ფართობი - 30.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის 29 ა, ფართობი - 102.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, ბათუმი, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილი N 58, ფართობი - 74.00 კვ.მ</p>	<p><a href="https://goo.gl/yDrhNt">https://goo.gl/yDrhNt</a></p> <p><a href="https://goo.gl/kgupvj">https://goo.gl/kgupvj</a></p> <p>არ უთითებს</p>
ზვიად ძიძიგური	უმრავლესობა					<p>საქართველო, თბილისი, 1 ხეივანის ქ. N8, ფართობი - 685.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, აბაშა,ს. პირველი მაისი, , ფართობი - 110.20 კვ.მ</p> <p>საქართველო, აბაშა,ს. პირველი მაისი, , ფართობი - 3597.00 კვ.მ</p> <p>საქართველო, თბილისი, 1 ხეივანის ქ.N8, ფართობი - 243.00 კვ.მ</p>	<p><a href="https://goo.gl/8Db2Vi">https://goo.gl/8Db2Vi</a></p> <p><a href="https://goo.gl/9giFd4">https://goo.gl/9giFd4</a></p> <p>არ უთითებს</p>

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
ნინო წილოსანი	უმრავლესობა	<ol style="list-style-type: none"> <li>შპს „მკურნალი 2002“</li> <li>შპს „ქონსელერ პრივატი“</li> <li>შპს „აიპროფიტი“</li> <li>შპს „ტრიდე ჯგუფი“</li> <li>შპს „ჯი თრეველი“</li> <li>შპს „ენ-დუო-კონცეპტ“</li> <li>შპს „აითრეველი“</li> <li>შპს „ლეგიონი“</li> <li>შპს „ბინ თრედიდინგ“</li> <li>შპს „რეტრო 77“</li> <li>შპს „აგროპროდუქტი“</li> <li>S.R.O Almitrans ჩეხეთი U Zvonafky, 2536/1d</li> <li>U.S TRADING COMPANY აშშ</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>36000,00 GEL</li> <li>5789,00 GEL</li> <li>100848,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> <li>0,00 GEL</li> </ol>		<p>საქართველო, თბილისი, მოსაშვილის N26, 124,70 კვ.მ</p> <p>თბილისი, მ. თამარაშვილის 4ა,</p> <p>თბილისი, ქვიშხეთის N1, 60,91 კვ.მ</p> <p>თბილისი, ც.დადიანის ქუჩა N144, 82,90 კვ.მ</p> <p>თბილისი,თამარაშვილის ქუჩა N4ა, 15,07 კვ.მ</p> <p>ოზურგეთი, დაბა ურეკი, 440,00 კვ.მ</p> <p>თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N37 ბინა N39, 131,60 კვ.მ</p> <p>8.მცხეთა, გმირის ქუჩა N3ა, ბინა N12, 94,55 კვ.მ</p> <p>თბილისი, დაბა წყნეთი, თამარ მეფის ქუჩა, სადარბაზო 1, სართული 1, ბინა N1, კორპუსი N1, 60,00 კვ.მ</p> <p>მცხეთა, სოფელი საგურამო, ი.ჭავჭავაძის მუზეუმის მიმდებარედ, 1175,00 კვ.მ</p> <p>თბილისი, ბალანჩივაძის ქუჩა, კორპუსი 40, 72,40 კვ.მ</p> <p>თბილისი, რუსთაველის გამზ. 40, 59,00 კვ.მ</p>	
გელა მიქაძე	ფრაქცია „საქართველოს პატრიოტები“	<ol style="list-style-type: none"> <li>შპს „რახ კერამიკს კოლდინგი“</li> <li>შპს „ქართულ-რუსული სავაჭრო სახლი“</li> <li>შპს „პრაიმ კონსტრაქშენი“</li> <li>შპს „ევრაზიის საპატენტო ჯგუფი“</li> <li>კოკეიჟან ინვესტმენტ ელაიენსი</li> <li>შპს „ალუმინიუმ ჯორჯია“,</li> <li>შპს „მიქაძე, გეგეჭკორი, თაქთაქიშვილი“</li> <li>ბესტფორდ დეველოპმენტ ელ-ელ-ფი, დიდი ბრიტანეთი</li> <li>მენლაინ პროტექტს ელ-ელ-ფი, დიდი ბრიტანეთი</li> <li>ჰენკელ&amp;ბეიკერ, არაბეთის გაერთიანებული საამიროები</li> <li>ინდ. მენარმე გელა მიქაძე</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი ზურაბ ნეფარიძე)</li> <li>პარტნიორი (წილის მმართველი გიორგი თაქთაქიშვილი)</li> <li>პარტნიორი</li> <li>პარტნიორი</li> <li>ინდივიდუალური მენარმე</li> </ol>	0	აქვს ინდ. მენარმის სტატუსი		

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
დავით ჭიჭინაძე	უმრავლესობა	1. შპს „დის-კო“ 2. დგზ-ენერჯი 3. ნავთლული ჯგუფი7 4. დმპ 5. გრაკო 6. მზა სახლი 7. ლიბო ჯგუფი	1. პარტნიორი 2. პარტნიორი 3. პარტნიორი 4. პარტნიორი 5. პარტნიორი 6. პარტნიორი 7. პარტნიორი	0	დეკლარაციაში არ უთითებს, რომ იგი არის დირექტორი სამეწარმეო სუბიექტში: შპს „მზასახლი“ (ს.კ. 204572532).	საქართველო, თბილისი, ბინა ქ. თბილისი , ქუჩა ოთარ ლორთქიფანიძე , N 18, სადარბაზო 1, სართული 6, ბინა N20, ფართობი - 180.70 კვ.მ  საქართველო, თბილისი, ქ. თბილისი , ქუჩა ოთარ ლორთქიფანიძე , N 18, სადარბაზო 1, სართული 6, ფართობი - 2.59 კვ.მ	
ლევან ბუჯანიძე	უმრავლესობა				დეკლარაციაში არ უთითებს, რომ იგი არის მენილე შემდეგ სამეწარმეო სუბიექტებში:  1. შპს „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“  2. შპს „ჩარკვიანის სახელობის ბათუმის სამშობიარო სახლი“	საცხოვრებელი ბინა, ბათუმი, ზუბალაშვილის 10, ფართობი - 300.00 კვ.მ  ბინა, ბათუმი, ბარათაშვილის 41, ფართობი - 40.00 კვ.მ ს აცხოვრებელი სახლი, ხევჩაური, სოფელი მახინჯაური, ფართობი - 220.00 კვ.მ	
ირაკლი (დაჩი) ბერაია (23.07.1976)	უმრავლესობა	შპს „პროექტების მართვის კომპანია“ შპს „კმკ 2013“ შპს „კმკ უძრავი ქონება“	მენილე, წილის მმართველი მიხეილ ბეგიაშვილი მენილე წილის მმართველი მიხეილ ბეგიაშვილი მენილე, წილის მმართველი მიხეილ ბეგიაშვილი	0			
ზაზა გაბუნია	უმრავლესობა				დეკლარაციაში არ არის მითითებული ინდ. მეწარმეობის შესახებ, რეგისტრირებულია 2010 წლის 1 დეკემბერს	საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი მისაქციელი, ფართობი - 255.00 კვ.მ	

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
ბიძინა გეგიძე	უმრავლესობა				დეკლარაციაში არ უთითებს მონაწილეობას სამენარმეო სუბიექტში: შპს „ლალილუ“, ს.კ 239867890		
ელგუჯა გოცირიძე	უმრავლესობა	შპს „საქცივპროდუქტი“	პარტნიორი	0	სს ჩაჩავას კლინიკის პარტნიორობიდან გავიდა 2016 წელს, მიღებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით 1011839 ლარი	<p>აგარაკი, თბილისი, დაბა კოჭორი, ფართობი - 1500.00 კვ.მ</p> <p>მიწის ნაკვეთი, თბილისი, დაბა კოჭორი, ფართობი - 1500.00 კვ.მ</p> <p>მიწის ნაკვეთი, სოფ. დილომი, ფართობი - 2000.00 კვ.მ</p> <p>მიწის ნაკვეთი, თბილისი, კოსტავას და ღამბაშიძის ქუჩებს შორის 18/4, ფართობი- 152.00 კვ.მ</p>	

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
ლაშა დამენია	უმცირესობა	შპს „საქართველოს ინოვაციური ნანო ტექნოლოგიები“	მენილე	0			
ოთარ დანელია	უმრავლესობა	შ.პ.ს. Smart House შ.პ.ს. Mega Construction შ.პ.ს. Sky Motors	პარტნიორი პარტნიორი პარტნიორი	0 0 0		საცხოვრებელი ფართი, თბილისი, დაბა შინდისი, ფართობი - 265.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, თბილისი, ტექ. უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია, ფართობი - 35.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თბილისი, დაბა შინდისი, ფართობი - 602.00 კვ.მ ბინა, თბილისი, რევამ თაბუკაშვილის 14, ფართობი - 161.84 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, თბილისი, დაბა შინდისი, ფართობი - 265.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი, თბილისი, დაბა შინდისი, ფართობი - 600.00 კვ.მ	
ლევან კობიაშვილი	უმრავლესობა				დეკლარაციაში არ არის მითითებული წილის საკუთრების შესახებ შემდეგ სუბიექტებში: 1. შპს „კ - 3“ 2. შპს „ალი ჯორჯიან მობილსი“ 3. შპს „ჯ.ს.ს.“	თბილისი, შიო-მღვიმელის 4. ბ 5, ფართობი - 281.00 კვ.მ წყნეთი, , ფართობი - 450.00 კვ.მ წყნეთი, , ფართობი - 2100.00 კვ.მ ბაკურიანი, , ფართობი - 6500.00 კვ.მ თბილისი, აბაშიძეს 34, ფართობი - 180.00 კვ.მ თბილისი, აბაშიძეს 34, ფართობი - 110.00 კვ.მ გერმანია, დუსელდორფი, , ფართობი - 425.00 კვ.მ 50 % გერმანია, ბერლინი, , ფართობი - 550.00 კვ.მ 50 % გერმანია, დუსელდორფი, , ფართობი - 790.00 კვ.მ 50 % ბათუმი, , ფართობი - 70.00 კვ.მ	

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
გონა ენუქიძე	უმრავლესობა	<p>1. შპს „იბერკომპანი“  2. შპს „ბანი“  3. შპს „იბერკომპანი პეტროლიუმი“  4. შპს „იბერკომპანი-პოლდინგი“  5. შპს „გლობალ თრეიდინგ კომპანი“  6. შპს „აკადემიკოს ვგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი“  7. შპს „გალაქსი ინვესტი“ (გალაქტიონი 3) მენილე</p>	<p>1. პარტნიორი, წილის მმართველი ბეჟა კიკალეიშვილი  2. პარტნიორი, წილის მმართველი ბეჟა კიკალეიშვილი  3. პარტნიორი,  4. პარტნიორი  5. პარტნიორი  6. პარტნიორი  7. პარტნიორი, წილის მმართველი ბეჟა კიკალეიშვილი</p>	<p>134736,84 GEL  0.00 GEL  458208,19 GEL  0.00 GEL  0.00 GEL  0.00 GEL  0.00 GEL</p>	<p>დეკლარაციაში არ აქვს მითითებული მენილეობა შემდეგ სამენარმეო სუბიექტებში:</p> <p>შპს „ალიანს მოტორს-თბილისი“ მენილე  შპს „ჯორჯიან ალკონტრეიდ“ მენილე</p>	<p>ბინა, თბილისი, ყიფშიძის 13/15, ფართობი - 345.00 კვ.მ  არასაცხოვრებელი ფართი, თბილისი, ყიფშიძის13/15, ფართობი - 20.00 კვ.მ  მინის ნაკვეთი, თბილისი, ყიფშიძე, ფართობი - 71.87 კვ.მ  მინის ნაკვეთი, ამბროლაური, კოსტავას ქუჩა, ფართობი - 1018.00 კვ.მ  ბინა, ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ფართობი - 69.83 კვ.მ  ბინა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ფართობი - 62.30 კვ.მ  ბინა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ფართობი - 156.20 კვ.მ  ავტოფარეხი, თბილისი, საქართველო, თბილისი ,ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ფართობი - 43.00 კვ.მ  ავტოფარეხი, თბილისი, საქართველო, თბილისი ,ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ფართობი - 22.60 კვ.მ  ბინა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ფართობი - 75.40 კვ.მ  მინის ნაკვეთი, , დაბა ბაკურიანი, დიდველი, ძველი უტც-ს მიმდებარედ, 1125,00 კვ.მ (33.33 %)  ბინა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #37ლ, ბინა 175, 65.80 კვ.მ</p>	

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამენარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
კობა კობალაძე	უმრავლესობა	შპს „სინერჯია საქართველო“	პარტნიორი 50 %	0		<p>მიწის ნაკვეთი, ჩოხატაური, კურორტი, ბახმარო, გურიის ქუჩა, 100,00 კვ.მ;</p> <p>ბინა თბილისი, გურამიშვილის გამზირი კ.5ბ.ბ55, 74,33 კვ.მ;</p> <p>მიწის ნაკვეთი თბილისი, ალ.ყაზბეგის 34, 600,00 კვ.მ;</p> <p>მიწის ნაკვეთი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი „კობტა გორა“, 1036,00 კვ.მ;</p> <p>მიწის ნაკვეთი დაბა ბაკურიანი „კობტა გორა“, 1038,00 კვ.მ</p>	
ირაკლი კობახიძე	უმრავლესობა				ინდ. მენარმის სტატუსი 16.09.2013-21.07.2017	<p>ბინა, თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 56, ბ. 9, ფართობი - 157.80 კვ.მ;</p> <p>ავტოფარეხი, თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 56, ავტოსადგომი N7, ფართობი - 20.00 კვ.მ</p>	
გიორგი კობაძე	უმრავლესობა	შპს „კოპა+“	პარტნიორი 100 %	0		<p>მიწის ნაკვეთი, ახალციხე, სოფელი კლდე, ფართობი - 7500.00 კვ.მ;</p> <p>მიწის ნაკვეთი, ახალციხე, სოფელი კლდე, ფართობი - 1500.00 კვ.მ</p>	



	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
ირაკლი შიოლაშვილი	უმრავლესობა					<p>ბინა, თბილისი, ვაზისუბანი, მკრ 2ა, კორპ. 23, ბ.111, 120,00 კვ.მ;</p> <p>მინის ნაკვეთი, დუშეთი, სოფ. ჩანადირები, 1000,00 კვ.მ;</p> <p>მინის ნაკვეთი თელავი, სოფ. წინანდალი, 20000,00 კვ.მ</p>	<p>დეკლარაციაში მითითებულია ცალკე საკუთრების ობიექტთა საერთო ჯამი:</p> <p><a href="https://goo.gl/ZLHELx">https://goo.gl/ZLHELx</a></p> <p><a href="https://goo.gl/Xj9ywg">https://goo.gl/Xj9ywg</a></p> <p><a href="https://goo.gl/UjfKC1">https://goo.gl/UjfKC1</a></p> <p><a href="https://goo.gl/4SJWTJ">https://goo.gl/4SJWTJ</a></p>
გოდერძი ჩანქსელიანი	უმრავლესობა	შპს „ბევრილი ჯგუფი“	პარტნიორი	60000		<p>თბილისი, წავკისი, ფართობი - 3000.00 კვ.მ</p> <p>ლანჩხუთის რაიონი. სოფ.გრიგოლეთი, ფართობი - 370.00 კვ.მ</p> <p>წავკისი, ფართობი - 550.00 კვ.მ</p> <p>ლანჩხუთის რაიონი სოფ.გრიგოლეთი, ფართობი - 570.00 კვ.მ</p> <p>ჩიქოვანის 2/7 ბინა17, ფართობი - 220.00 კვ.მ;</p> <p>ბორჯომის რაიონი. დაბა ბაკურიანი, 25მ მიმდებარედ ტერიტორია, ფართობი - 90.00 კვ.მ;</p> <p>თბილისი, ჩიქოვანის2/7; ბინა17, ფართობი - 70.00 კვ.მ</p>	

	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი	დეკლარირებული შემოსავალი	კომენტარი სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით	უძრავი ქონება	კომენტარი უძრავ ქონებასთან დაკავშირებით
იოსებ მაკრახიძე	უმრავლესობა	შპს „მათა“ შპს „გეორგია XXI“ შპს „ე.ი.ლ.ჭ“ შპს „შარა“ შპს „იბოლია“	პარტნიორი პარტნიორი პარტნიორი პარტნიორი	54500.00 GEL 1500.00 GEL 7461.00 GEL 10000.00 GEL 12500.00 GEL	<p>არის შპს „იმედის“ (ს/კ 217888917) დირექტორი შპს „ლამურის“ (ს/კ 217873184) მენილე ასევე „შპს რიკოთის“ (ს/ჭ 243886461) 50% პარტნიორი</p> <p>იოსებ მაკრახიძე 2016 წელს შეწყვიტა დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება შპს „იბოლიაში“. მიღებული შემოსავალი დეკლარაციის მიხედვით არის 829 319 ლარი.</p> <p>დეკლარაციაში არ არის მითითებული ინდ მენარმეობის შესახებ, რეგისტრირებულია 2013 წლის 2 ივლისს</p>	<p>გორი, ხოშტარიას ქუჩა N15, ფართობი - 396.00 კვ.მ გორი, სოფელი მეღვრეკისი, ფართობი - 135032.00 კვ.მ გორი, სოფელი მეღვრეკისი, ფართობი - 127606.00 კვ.მ გორი, სოფელი, მეღვრეკისი, ფართობი - 79505.00 კვ.მ გორი, სოფელი, მეღვრეკისი, ფართობი - 64914.00 კვ.მ გორი, სოფელი, მეღვრეკისი, ფართობი - 5233.00 კვ.მ სოფელი, მეღვრეკისი, ფართობი - 997.44 კვ.მ გორი, ხოშტარია, ქუჩა N 15, ფართობი - 441.30 კვ.მ</p>	
